



**ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საბრენგულო**



დ ა დ გ მ ნ ი ლ ე ბ ა № 10-39
— — —

28 აპრილი
“— — —” 2015 წ

ა. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილებაში (ვებგვერდი, 24/12/2014 სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016071) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 129-ე მუხლის, 130-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 133-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 52-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილების (სსმ, ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 24/12/2014 სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016071) პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი !ახის ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ლ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლზე (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღება, სამუშაოების მიღების ან მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, შესაბამისი აქტის გამოცემა, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლი;“

2. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მიიღოს ექსპლუატაციაში მშენებლობადამთავრებული შენობა – ნაგებობები, მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშები;

3. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ¹). კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გაცემული სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვების/შეთანხმების საფუძველზე შესრულებული საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ტექნიკური შეცდომების გასწორება და ძალადაკარგულად გამოცხადება, არარად აღიარება და ბათილად ცნობა.

4. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ადმინისტრაციულ საქმეთა სამმართველო – ზედამხედველობას უწევს საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ გათვალისწინებულ სამშენებლო დარღვევებს; უზრუნველყოფს: დარღვევის გამოსწორებასა და დამრღვევის მიმართ საჯარიმო სანქციების გატარებას, მშენებლობის შეჩერებას ან/და შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ დადგენილების მიღებას, ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი მშენებლობადამთავრებული ობიექტის ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმებასა და მასზე შესაბამისი ცნობის მომზადებას. ცნობაში აღინიშნება ობიექტის შესაბამისობა მის საპროექტო-სანებართვო დოკუმენტაციასთან და გამოვლენილი დარღვევები. ცნობაში, ასევე, ფასდება ობიექტის საერთო მდგომარეობა, დარღვევების გათვალისწინებით. აღნიშნული

ცნობის საფუძველზე, სამსახური გამოსცემს ბრძანებას ობიექტის ექსპლუატაციაში
მიღების ან ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ; ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა,
საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული
ნებართვების საფუძველზე შესრულებული საბოლოო ანგარიშების მიღების მიზნით
წარმოდგენილი ობიექტის ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმებასა და მასზე
შესაბამისი ცნობის მომზადებას. ცნობაში აღინიშნება ობიექტის შესაბამისობა მის
საპროექტო-სანებართვო დოკუმენტაციასთან და გამოვლენილი დარღვევები. ცნობაში,
ასევე, ფასდება ობიექტის საერთო მდგომარეობა, დარღვევების გათვალისწინებით.
აღნიშნული ცნობის საფუძველზე, სამსახური გამოსცემს ბრძანებას ობიექტზე
შესრულებული საბოლოო ანგარიშების მიღების ან შესრულებული საბოლოო
ანგარიშების მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში,
დამრღვევთა მიმართ უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსით გათვალისწინებული სანქციების გატარებას; კონტროლს უწევს ხმაურის
წესების დაცვას, სამშენებლო სამართალდაღვევის საქმისწარმოებას.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკურებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების ძალაში შესვლით, რომლის საფუძველზეც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირების შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვაზე; ამავე დებულების მიხედვით, სამსახური უფლებამოსილია: დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ; მიიღოს ექსპლუატაციაში მშენებლობადამთავრებული შენობა – ნაგებობები, მიიღოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე (არქეოლოგიური ძეგლებისა და საკულტო-რელიგიული დანიშნულების ობიექტების გარდა) წარმოებული სამუშაოები; დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები; დადგენილი წესით, მოახდინოს სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შემოწმება, მათი საქმიანობის შეჩერება, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანი ან ნაწილობრივი დემონტაჟი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების უწყვეტი და ეფექტური შესრულების მიზნით, აუცილებელია დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

ბ) პროექტის დამახასიათებელი მირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტი ადგენს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილება განესაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. აღნიშნული სამსახური აგრეთვე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღებას და ნებართვების/შეთანხმების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ტექნიკური შეცდომების გასწორებას და ძალადაკარგულად გამოცხადებას, ბათილად ცნობას და არარად აღიარებას.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.